

საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო

დიდი ხანია ლაპარაკი იყო, რომ აქაური სასულიერო წოდება აპირობს სიონთან დააარსოს მუზეუმი შესანახავად და დასაცავად ძველთა საეკლესიო ნივთთა, რაც-კი აღმოჩნდება საქართველოს საექსარხოსოში. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს განზრახვა დღეს უკვე შეუსრულებიათ და სიონის ჩრდილოეთით, სიონისავე ეზოში, დღეს წამოჭიმულია მაღალი შენობა მუზეუმისათვის, და წესდებაც საეკლესიო-საისტორიო მუზეუმისა უკვე დამტკიცებულია და გაზეთებშია გამოცხადებული.

ამ წესდებაში სხვათაშორის მოხსენებულია, რომ სასურველია ამ ძველთა ნაშთთა-საცავში მოგროვდეს როგორც გუჯრები, რაც კი დღეს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაში და ეგზარხოსის ეპარხიაში მოიპოვება, აგრეთვე იგი გუჯრები, რაც კანტორას გადაუცია სახელმწიფო ქონებათა გამგეობისათვის თბილისსა თუ ქუთაისში. გარდა ყოველ ამისა, აქ მუზეუმში უნდა შეიკრიბოს ყოველივე ძველი საეკლესიო ნივთი, რაც-კი სადმე აღმოჩნდება და სადამდინაც-კი მუზეუმის გამგებელთ ხელი მიუწვდებათ. აქ ჩვენს მთელს წესდებას არ მოვიხსენიებთ, რადგანაც ჩვენს გაზეთში ცალკე იბეჭდება. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ამ მუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიყვარულით უნდა მიეგებოს და დიდი მაღლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავებს და შესრულებამდე მიიყვანეს.

ვინ არ იცის, რამოდენა ძველი ნაშთია გაფუჭებული აქა-იქ ეკლესიებში, მონასტრებში, ტაძრებში, რა დიდძალი გუჯრები, სიგელები და სხვა ნაწერები და სხვა წერილები უადგილო-ადგილას ყრია დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად. რამდენი ამისთანა განძი ჩვენის ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის მიმალული და დროთა მიმავლობაში იმდენი იკარგება, ჰფუჭდება და ილუპება. ეხლა-კი, რაკი მუზეუმი არის, ყოველი ეს ერთს ადგილას თავს მოიყრის, და ვინ იცის, ამ კაი ადგილას, კარგთა გამგებელთა ხელში ერთად თავმოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენის ისტორიის მამიებელთა და მკვლევართა, იმას აღარ ვიტყვით, რომ დღეის იქით შიგ ჩვენს დედა-ქალაქში შეიკრიბება ეგ ძველი ნაშთები, კაი ბინა ექნება, ყოველი ნივთი თუ ნაწერი, წესსა და რიგზედ გარიგებული და ამ გზით ყოველის მოწადინესათვის ადვილად ხელმისაწვდენი და სამეცნიეროდ თუ სასწავლებლად გამოსაყენი იქნება.

თუ ამ მუზეუმის გამგებელთა საკმარისი გულმოდგინება გამოიჩინეს, არ გავა ოთხი-ხუთი წელიწადი, რომ ეს ახლად დაწყებული საქმე არ გაძლიერდეს და ისეთი რამ არ შეიქმნას, რომ სხვისი ყურადღებაც მოიზიდოს, როგორც ნივთთა და ნაწერთა სიმრავლითა, ეგრეც ღირსებითა და გამოსადეგობითა. ჩვენი ქვეყანა სავესა ყოველგვარის ძველის ნაშთითა, და თუ დღეს ამას არ ვხედავთ, იმისი ბრალია, რომ არ ვიცით, სად რა არის და ვის რა აქვს. ყოველი ეს ხომ შეძლებისამებრ ერთს ალაგს თბილისში მოგვიგროვდეს, როგორც აზრადა აქვს მუზეუმსა, მაშინ, იმედია, დავინახავთ, რა განძი დებულა ჩვენს ქვეყანაში უქმად და გამოუყენებლად.

„ყოვლად წმინდის ღვთის-შობლის ძმათა“ საბჭოს საეკლესიო-საარქეოლოგიო ნაწილი მუზეუმისა ჩაუბარებია იმისთანა კაცთათვის, რომელთა შორის უფროს-ერთნი ცნობილ არიან, ვითარცა მცოდნენი და მკვლევარნი ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიისა. ამისთანა კაცი საკმაოდ თავმდებნი არიან, რომ ამ ახლად დაწყებულ საქმეს სათავეში კარგნი გამგებელნი ეყოლება და, მამასადამე, იმედია თვით საქმის კეთილად დაწყებისა და განგრძობისა.